საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ავრელი აქოლისი

ავრელი აქოლისი, ძვ. მცხეთის ხუროთმოძღვარი და მხატვართუხუცესი. მოხსენიებულია სამთავროს სამაროვანზე ნაპოვნ (1939) ბერძნ. ეპიტაფიაში (IV ს.). ტერმინი „არქიზოგრაფოსი“ (მხატვართუხუცესი) ბერძნ. და ბიზანტ. ძეგლებში XII ს-მდე არ გვხვდება. იგი ადგილ. საჭიროებისათვის საგანგებოდაა შექმნილი მცხეთელი თანამდებობის პირის – მხატვართუხუცესის გამოსახატავად. IV ს-ში ამგვარი თანამდებობის არსებობა იმდროინდელი საქართველოს მხატვრული და ხუროთმოძღვრული კულტ. განვითარების მაღალ დონეს მოწმობს.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1943, ტ. 4, № 6.